ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1987110

ნომერი: AR1313353

თარიღი : 27.05.2015

გაცემის თარიღი : 01.07.2015

გაცნობის თარიღი : 02.07.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯავახეთი , N 64 , (ნაკვეთი N12/19) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სიმონი კუმელაშვილი პ/ნ 36001002745
- თბილისი ლ.ასათიანის ქ. N 29

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- II კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 884011
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 5.09.2013

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, ჯავახეთის ქუჩა #64 (ნაკვეთი #12/19), შ.პ.ს. "ასპ-ჯორჯია"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, ავტომომსახურების ობიექტის (ავტოსერვისი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 20 აპრილის ბ-12/150841269-16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების წერილობით დადასტურებას.
“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. #57 დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის “პ” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახური ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, ჯავახეთის ქუჩა #64 (ნაკვეთი #12/19), შ.პ.ს. "ასპ-ჯორჯია"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, ავტომომსახურების ობიექტის (ავტოსერვისი) ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 20 აპრილის ბ-12/150841269-16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მათ დასაშვებობას ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

წინამდებარე წერილობითი დადასტურება განიხილება პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე სამსახურის 03.07.2013წ. №773252 ბრძანებასთან და 05.09.2013წ. №884011 ბრძანებასთან ერთად და წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის განუყოფელ ნაწილს.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.